შიშის გამოყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებში: გავლენა აუდიტორიის ნდობის ფორმირებასა და ქცევაზე საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში

ანი სარალიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თინათინ იმერლიშვილი, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი სარალიძე

10.03.2026

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს შიშის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი სტრატეგიის, გამოყენებას 2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დროს და აფასებს მის გავლენას ამომრჩეველთა ნდობასა და საარჩევნო ქცევაზე. ნაშრომის მიზანია იმ მექანიზმების გამოვლენა, რომლებითაც პოლიტიკური აქტორები შიშზე დაფუძნებული თხრობით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცდილობდნენ. კვლევის აქტუალობა განპირობებულია წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი თხრობების გაბატონებით, როგორებიცაა „ომის საფრთხე“, „ღირებულებების დაკარგვა“ და „ეკონომიკური კოლაფსი“.

კვლევა შერეულ მეთოდოლოგიას ეფუძნება. თვისებრივი ნაწილი მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდის მედიაგზავნილების კონტენტანალიზს და სიღრმისეულ ინტერვიუს, ხოლო რაოდენობრივი ნაწილი 350 კაციან გამოკითხვას. კვლევის შედეგად შიშის სამი ძირითადი თხრობა გამოვლინდა: „ომის საფრთხე და გლობალური ომის პარტია“, „ღირებულებითი ომი და ეროვნული იდენტობის დაცვა“ და „ეკონომიკური კოლაფსი და არასტაბილურობა“.

დადგინდა, რომ მიუხედავად ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ შიშის გამოყენების მიზანმიმართულ მანიპულაციად აღქმისა, რაც პოლიტიკური სისტემისადმი მათ ნდობას ამცირებს, გამოიკვეთა ამომრჩეველთა სტაბილური სეგმენტი, რომელიც მსგავს რიტორიკაზე დადებითად რეაგირებს და უპირატესობას სტაბილურობას ანიჭებს. დასკვნის თანახმად, შიშზე აგებული კამპანია, შესაძლოა, მოკლევადიან საარჩევნო სარგებელს იძლეოდეს, მაგრამ გრძელვადიანად ის სერიოზულ ზიანს აყენებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, აღრმავებს საზოგადოებრივ პოლარიზაციას და ხელს უწყობს პოლიტიკურ ნიჰილიზმს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კომუნიკაცია, საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, შიშის რიტორიკა, საარჩევნო ქცევა, ამომრჩეველთა ნდობა, პოლიტიკური პოლარიზაცია.

Abstract

This master's thesis explores the use of fear as a communicative strategy during the 2024 Georgian parliamentary elections and assesses its impact on voter trust and electoral behavior. The study aims to identify the mechanisms through which political actors attempted to shape public opinion through fear-based narratives. The relevance of this research is driven by the dominance of narratives such as the "threat of war," "loss of values," and "economic collapse" during the pre-election period.

The study relies on a mixed methodology. The qualitative component includes a content analysis of pre-election media messages and - in-depth interviews, while the quantitative part consists of an 350 respondent survey. The research identified three main narratives of fear: "The Threat of War and the Global War Party," "Value-Based War and the Protection of National Identity," and "Economic Collapse and Instability."

The findings reveal that despite the majority of voters perceiving the use of fear as a deliberate manipulation which reduces their trust in the political system there emerged a stable segment of voters who respond positively to such rhetoric and prioritize stability. The study concludes that while fear-based campaigns may yield short-term electoral benefits, in the long run, they severely damage democratic institutions, deepen social polarization, and foster political nihilism.

Keywords: Political Communication, 2024 Georgian Parliamentary Elections, Fear Appeal, Electoral Behavior, Voter Trust, Political Polarization

მადლობა

კვლევაზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პედაგოგს, თინათინ იმერლიშვილს. ასევე, მადლობა ყველა რესპონდენტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.